



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #30

2014 წლის 8 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში უნარშეზღუდული მოქალაქეებისთვის პანდუსებისა და ტუალეტების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში უნარშეზღუდული მოქალაქეებისათვის პანდუსებისა და ტუალეტების მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უნდა განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით. დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 14 აპრილს SPA-140009997, 7 მაისს- SPA 140012087 და 10 ივნისს - SPA 140014832 გამოცხადებული ტენდერები, პრეტენდენტების არ არსებობის გამო არ შედგა. ელექტრონული ტენდერის კვლევა გამოცხადება, მოითხოვს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვას, რაც იწვევს დროის გაწელვას. ვითარებიდან გამომდინარე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ითხოვს აღნიშნული შესყიდვის განხორციელებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10¹ მუხლის მე-3-ე პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცეს თანხმობა, რათა დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ (გამგეობის) შენობაში უნარშეზღუდული მოქალაქეებისთვის პანდუსებისა და ტუალეტების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.